ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ქვემო ქართლში მუნიციპალიტეტების საშუალოვადიანი განვითარებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგის ანგარიში

Bolnisi Language House

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ქვემო ქართლში მუნიციპალიტეტების საშუალოვადიანი განვითარებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგის ანგარიში

ავტორი: დავით ლოსაბერიძე

წინამდებარე სახელმძღვანელო გამოცემულია ორგანიზაციების ა(ა)იპ „ქვემო ქართლის მედიის“ და ა(ა)იპ „ბოლნისის ენის სახლის“ მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

წინამდებარე სახელმძღვანელოს შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია „ქვემო ქართლის მედია“ და „ბოლნისის ენის სახლი“ და ეს არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI
CSRDG
ctc Empowering People for Change
EDEC

გარემოს ზოგადი შეფასება

მონიტორინგის მიზნები

წინაპირობები

2010 წლიდან მუშავდებოდა და 2014 წელს გაფორმდა **ასოცირების შესახებ შეთანხმება** ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.

შეთანხმების 21-ე თავი- რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე (მუხლები 372-375) შეეხება საქართველოში რეგიონული განვითარების შესაძლებლობებს. კერძოდ, საქართველოში ისეთი სფეროების ხელშეწყობას, როგორიცაა:

- რეგიონული პოლიტიკის მეთოდების ფორმულირება და იმპლემენტაცია;
- მრავალდონიანი მმართველობისა და პარტნიორობის განვითარება;
- ღარიბი რაიონების განვითარება და ტერიტორიული თანამშრომლობა;
- რეგიონული განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაცია;
- რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ცენტრალურ და ადგილობრივ საჯარო სამსახურებს შორის ურთიერთქმედებათა მექანიზმების გაუმჯობესება;
- რეგიონული განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნის, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარება და ა.შ...

ამ მიზნით, ევროკავშირი გეგმავს ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონების დაკავშირებას ევროპის რეგიონებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების გზით. აღნიშნული თანამშრომლობის მხარდაჭერის მიზნით, ევროკავშირი გეგმავს მოახდინოს მნიშვნელოვანი ნაწილის არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ ფინანსური მხარდაჭერა (უშუალოდ

ევროკავშირის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI), ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩოს (SSF), ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის მრავალმხრივი პროგრამირების, სხვადასხვა ევროფონდებისა და ასოციაციების შესაძლებლობებისა და ა.შ. ფარგლებში).

ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად შემუშავებულ იქნა **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი**, რომელმაც ჩაანაცვლა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP Action Plan) და რომელიც წარმოადგენს ერთობლივი მუშაობისათვის განსაზღვრული პრიორიტეტების სიას (ჯერ 2014-2016 წლებში, ხოლო შემდეგ 2017 წლიდან მოყოლებული), რომლის შესრულებაც უნდა მოხდეს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ჩართულობის პრინციპების სრული დაცვით.

დღის წესრიგის საწყისი ეტაპის თანახმად:

- უნდა მომზადებულიყო რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული პროგრამა 2015-2017 წლებისთვის - ეფექტიანი მრავალდონიანი პოლიტიკის განხორციელების პროცესში ინსტიტუტთაშორისი კოორდინაციის გზით;
- უნდა მომზადებულიყო სამოქმედო გეგმები, 2013 წლის სექტემბერში მომზადებული რეგიონებისთვის განვითარების ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის;
- უნდა განხორციელებულიყო ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობების ტრეინინგი რეგიონული განვითარების პოლიტიკის საკითხებზე;
- უნდა გაძლიერებულიყო ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მომხდარიყო რეგიონულ განვითარებაში მონაწილე ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაცია და ა.შ...

აღნიშნული მიზნების მიღწევის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ კიდევ 2012-2013 წლებში, დამტკიცდა რეგიონული განვითარების სტრატეგიები იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის (2012-2017 წლები), სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ზემო სვანეთისათვის (2014-2021 წლები). საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცდა 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს ამ პროცესში ევალებოდათ მიეღოთ საკუთარი მუნიციპალიტეტების "განვითარების საშუალოვადიანი დოკუმენტები", რაც ინტეგრირებული უნდა ყოფილიყო ცალკეული რეგიონული განვითარების სტრატეგიებთან და საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ინიცირებული "განვითარების საშუალოვადიანი დოკუმენტების" და მასთან დაკავშირებული "პრიორიტეტების დოკუმენტების" ფორმატი არ ეწინააღმდეგება ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების მოთხოვნებს და ძირითადად ფარავს ყველა მოთხოვნას. ამავე დროს საჭიროა:

1. სამუშაო დოკუმენტაციის ერთმანეთთან და რეალობასთან ისეთი სახით ადაპტირება, რომ ამან არა ზედმეტი, რეალურად ნაკლებად გამოყენებადი დოკუმენტაციის შექმნა, არამედ თვითმმართველობებისათვის პროცესის გამარტივება გამოიწვიოს;
2. მუშაობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით, რაც ხელისუფლების საზოგადოებასთან დაახლოებას და პროცესის გამჭვირვალობას შეუწყობს ხელს.

მონიტორინგის მეთოდები და პროცესი

წინამდებარე მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმების დღის წესრიგის 2017 წლის ეროვნული გეგმის თანახმად მუნიციპალიტეტების მიერ "განვითარების საშუალოვადიანი დოკუმენტების" და მასთან დაკავშირებული "პრიორიტეტების დოკუმენტების" ანალიზი და მომზადების პროცესის შეფასება ქვემო ქართლის შვიდი მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

კერძოდ, კვლევის მიზანს წარმოადგენდა გარკვეულიყო:

- მომზადებულ იქნა თუ არა "განვითარების საშუალოვადიანი დოკუმენტები" ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში;
- რა პროცედურითა და როგორი მეთოდოლოგიის გამოყენებით მიმდინარეობდა ეს პროცესი;
- როგორ უკავშირდება აღნიშნული დოკუმენტები მუნიციპალიტეტების სხვა სტრატეგიულ ხედვებს, კერძოდ "მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტებს";
- რამდენად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე ზემოაღნიშნულ პროცესებში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მუშაობა წარიმართა ორი მიმართულებით:

1. "განვითარების საშუალოვადიანი დოკუმენტების" მომზადების მეთოდოლოგიისა და შემუშავების პროცესთან დაკავშირებული მასალების მოძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან, რომელიც უშუალოდ კურირებდა ამ მიმართულებას;
2. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებიდან "პრიორიტეტების დოკუმენტების" მომზადების პროცესისა და მასში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დონის გარკვევის მიზნით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს "განვითარების საშუალოვადიანი დოკუმენტების" შემუშავების პროცესში ჩართულ მოხელეთა ინტერვიუირების პროცესში გაანალიზდა "მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის მეთოდოლოგია"და რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტის მიერ 2015-16 წლებში მომზადებული "მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტები".

მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასების მიზნით შემუშავდა კითხვარი (იხ. დანართი), რომელიც 18 ივნისს დაეგზავნათ მუნიციპალურ ორგანოებს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით; 12 ივნისიდან 2 აგვისტომდე პერიოდში მუნიციპალიტეტებიდან მიღებულ იქნა პასუხები კითხვებზე. რიგ მუნიციპალიტეტებში საჭირო გახდა განმეორებითი, დამაზუსტებელი წერილებით მიმართვა. პარალელურად, მოხდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური საიტების დათვალიერება მათზე პროაქტიულად გამოქვეყნებული დოკუმენტების არსებობის დადგენის მიზნით.

ბოლო ეტაპზე განხორციელდა მიღებული ინფორმაციის ანალიზი და მომზადდა დასკვნები და რეკომენდაციები, რაც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის შემდგომი საქმიანობის ეფექტურობის ხარისხის გაზრდას.

ნორმატიული ბაზა და სამუშაო პროცესი

პრიორიტეტების დოკუმენტი

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისა და მიღების პროცესის ნორმატიული საფუძველია "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"[1] (მუხლი 76) და "საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"[2], აგრეთვე, მუნიციპალიტეტების საკრებულოების რეგლამენტები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები".

ამდენად, შემდეგი საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობა იწყება მუნიციპალიტეტის მერის მიერ ბრძანების გამოცემით, რომელშიც პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები უნდა იყოს მოცემული.

საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილი მუნიციპალიტეტს ავალდებულებს, პრიორიტეტების დოკუმენტი მუნიციპალიტეტის მერმა შეადგინოს შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით. ამ ნორმის მიზანია, დაცული იყოს პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისობა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიზნებთან და ამოცანებთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86[1] მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები". ორგანულ კანონში დეტალიზებული არ

[1]საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006

[2] საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

არის, ბიუჯეტის პროექტთან ერთად უნდა მოხდეს თუ არა პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის წარდგენა მრჩეველთა საბჭოსათვის განსახილველად. მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მრჩეველთა საბჭომ უნდა განიხილოს მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ხოლო პრიორიტეტების დოკუმენტი სწორედ ასეთს წარმოადგენს. პრიორიტეტების დოკუმენტი მტკიცდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - საკრებულოს განკარგულებით, მაგრამ ამ აქტს საკრებულო ამზადებს და არა მუნიციპალიტეტის მერი, ამიტომ კანონი პირდაპირ არ ავალდებულებს მუნიციპალიტეტის მერს მრჩეველთა საბჭოსათვის განსახილველად პრიორიტეტების დოკუმენტის წარდგენას და ეს მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. კანონმდებლობით ასევე არ არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერის მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის საკრებულოში წარდგენამდე მისი საჯარო განხილვის ან საზოგადოებასთან კონსულტაციების ვალდებულება, თუმცა, მნიშვნელოვანია მრჩეველთა საბჭოს მიერ მისი განხილვა ბიუჯეტთან ერთად, კომპლექსურად.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებისათვის, საბჭოს სხდომის ოქმი მერიამ უნდა გამოაქვეყნოს ან/და საჯაროდ გამოაცხადოს სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[1]მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი).

საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესის დასრულების ზღვრული ვადა - 15 ნოემბერი. ამ თარიღამდე მუნიციპალიტეტის მერმა პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი უნდა წარუდგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს - მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. იგივე ვადაა განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტისათვის, ამდენად, როგორც წესი, ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის წარდგენა საკრებულოსათვის ერთდროულად ხდება ხოლმე.

15 ნოემბრის შემდეგ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტების განხილვის პროცესი საკრებულოში მიმდინარეობს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, "ბიუჯეტის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის". იმავე კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად," ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს". ამდენად, აღნიშნულ კანონში არ არის დაფიქსირებული საკრებულოს მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის გამოქვეყნებისა და საჯარო განხილვის ვალდებულება.

საკრებულოსთვის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტების წარდგენის შემდეგ, მათი განხილვა მიმდინარეობს კომისიებსა და ფრაქციებში. შემდეგ ბიუჯეტის პროექტი და შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტი საკრებულოს სხდომაზე განიხილება. საკრებულოს კომისიის სხდომა და საკრებულოს სხდომა საჯაროა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის მე-4 ნაწილის "დ" პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ ფორმად არის განსაზღვრული.

პრიორიტეტების დოკუმენტებს მუნიციპალიტეტების საკრებულოები განკარულებებით ამტკიცებენ. მუნიციპალიტეტების საკრებულოების ნორმატიული აქტებით - დადგენილებებით დამტკიცებული რეგლამენტების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის "ბ"ქვეპუნქტის შესაბამისად,[3,4,5,6,7,8,9] თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, პრიორიტეტების დოკუმენტისა და შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;
- თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, პრიორიტეტების დოკუმენტის, სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების მიმდინარეობის კონტროლი და მათი შესრულების შეფასება.

---

[3] გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 თებერვლის დადგენილება №13 "გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4063263

[4] წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის დადგენილება №6 "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/2395316

[5] დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის დადგენილება №42 "დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/2393270

[6] ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის დადგენილება №48 "ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/3850412

[7] მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის დადგენილება №34 "მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/3857434

[8] ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს დადგენილება №1 "ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/2434776

[9] თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის დადგენილება №59 "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/2397672

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის მე-9 ნაწილით, "წლიური ბიუჯეტი ქვეყნდება და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის", თუმცა, არაფერია ნათქვამი პრიორიტეტების დოკუმენტის გამოქვეყნებაზე. იმავე კოდექსის 85[1] მუხლის მე-3 ნაწილის "ა" პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომების ოქმები, სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს ან საჯაროდ გამოცხადდეს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, "ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს".

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით დამტკიცებული "საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის" მე-10 მუხლის მე-12 პუნქტით, პრიორიტეტების დოკუმენტის წარდგენისას ფინანსთა სამინისტროს უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი იმ პროექტების ნუსხა, რომლებზეც მუნიციპალიტეტების საკრებულომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო მე-14 მუხლის მე-5 პუნქტით, ასევე, მუნიციპალიტეტების მიერ მათი ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია.

საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, კანონით განსაზღვრულია ინფორმაციის ის მინიმუმი, რომელსაც უნდა შეიცავდეს პრიორიტეტების დოკუმენტი, კერძოდ:

"ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს / ქვეპროგრამებს;

გ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

დ) პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების /ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორებს".

საშუალოვადიანი ხედვის დოკუმენტი

2010 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო 2 რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2013 წელს ეს სტრატეგიები განახლდა, შემდეგ კიდევ 7 რეგიონისათვის შემუშავდა და საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014-21 წლების განვითარების სტრატეგიები. ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მუნიციპალურ დონეზე რეგიონულ სტრატეგიებთან შესაბამისობაში მყოფი საშუალოვადიანი სტრატეგიული დოკუმენტების შექმნის პრაქტიკაში დანერგვის საკითხი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხედვით, მუნიციპალიტეტებში ცალკე ახალი დოკუმენტების შექმნის ნაცვლად, უმჯობესი იყო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში უკვე არსებული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტების გაუმჯობესება იმ დონემდე, რომ მათ ჰქონოდათ მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტების სახე. აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნებოდა მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის მჭიდრო კავშირი საბიუჯეტო პროცესთან.

ამასთან ერთად, იმისათვის, რომ პრიორიტეტების დოკუმენტი არ ყოფილიყო მხოლოდ მშრალი საფინანსო მაჩვენელების შემცველი და შეესრულებინა მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის ფუნქცია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით მოამზადა "მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის მეთოდოლოგია" და მის მიხედვით რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს დაეხმარა "მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტების" შედგენაში.

აღნიშნული დოკუმენტები მოიცავდა კანონით პრიორიტეტების დოკუმენტისთვის განსაზღვრულ ყველა მონაცემს, რასთან ერთადაც უნდა გამხდარიყო მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიული დოკუმენტი და განახლებულიყო ყოველწლიურად. განზრახული იყო ასეთი დოკუმენტების გამოყენება ბიუჯეტთან ერთად საკრებულოში წარსადგენი პრიორიტეტების დოკუმენტების სახით, რაც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში" მხარდაჭერით, 2015-16 წლებში შემუშავდა შესაბამისი

მეთოდოლოგია და საქართველოს 41 მუნიციპალიტეტში, მ.შ. ქვემო ქართლის შვიდივე მუნიციპალიტეტში (რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, დმანისი, წალკა) მომზადდა "საშუალოვადიანი ხედვისა და პრიორიტეტების დოკუმენტები".

წლიური ბიუჯეტის საფინანსო დანართიდან მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტამდე პრიორიტეტების დოკუმენტის განვითარება-შემუშავებაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საერთო კოორდინაციით, მუნიციპალური ორგანოებისათვის დახმარების პროცესი 2 ეტაპად წარიმართა:

1. 2015 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში" მხარდაჭერით, საპილოტე მუნიციპალიტეტებს ექსპერტულ დახმარებას უწევდა საკონსულტაციო ფირმა Policy and Management Consulting Group (PMCG). ქვემო ქართლიდან "საშუალოვადიანი ხედვისა და პრიორიტეტების დოკუმენტების" პროექტები შემუშავდა მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებისათვის.
2. 2016 წელს, ასევე გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტებს ექსპერტულ დახმარებას უწევდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (AYEG). შემუშავდა "საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტების" შედგენის სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტებისათვის და დოკუმენტების პროექტები რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტისთვის.

დოკუმენტები გამოიცა 2017 წელს სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ფონდის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

მეთოდოლოგიის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს მისი საშუალოვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას. დოკუმენტის შემუშავებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (მერია), დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით შედგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს:

- გასული საბიუჯეტო წლის პროგრამების შეფასებას;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარემოს აღწერას;
- სოციო-ეკონომიკური განვითარების გარემოს ანალიზს (SWOT);
- მუნიციპალიტეტის ხედვასა და მისიას;
- ძირითად პრიორიტეტებს;
- პრიორიტეტების განხორციელების გეგმას.

ასეთი ტიპის დოკუმენტებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თავდაპირველი განზრახვით, უნდა ყოფილიყო საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით განსაზღვრული ინფორმაციის ის მინიმუმი, რომელსაც უნდა შეიცავდეს პრიორიტეტების დოკუმენტი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს ექნებოდათ პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც იქნებოდა განვრცობილი საშუალოვადიანი (3-წლიანი) სტრატეგიული ხედვით, ხოლო ყოველწლიური ბიუჯეტი, ფაქტობრივად, მისი განხორციელების კონკრეტული სამოქმედო გეგმის როლს შეასრულებდა.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის მეთოდოლოგია შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

1. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის ამოცანები

იმ პრობლემების გამოვლენა, რომლებიც განსაკუთრებით მწვავედ დგას მოსახლეობის წინაშე და მათი გადაწყვეტის რიგითობის განსაზღვრა (საჭირო სახსრებისა და განხორციელების ვადების მითითებით). დოკუმენტის ფინანსური ნაწილი ზუსტდება ოქტომბერში (ყველა დონის ბიუჯეტების საბოლოო პარამეტრების და პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების დადგენის შემდეგ) და "პრიორიტეტების დოკუმენტთან" და წლიური ბიუჯეტის პროექტთან ერთად საკრებულოს 15 ნოემბრისთვის წარედგინება.

2. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის ეტაპები

- *ეტაპი I - გასული საბიუჯეტო წლის პროგრამების შეფასება* - მერიის სამსახურები ახდენენ გასული საბიუჯეტო წლით გათვალისწინებული პროგრამების შედეგების შეფასებას და ანგარიშგებას. შეფასდება ის მომსახურებები, რომელსაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს მოსახლეობას. შედეგების შეფასების ანგარიში მერს წარედგინება.
- *ეტაპი II - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარემოს აღწერა* - მერია ახორციელებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური გარემოს აღწერას და მონაცემების განახლებას. აღწერა მოიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის

მოგროვებასა და დახასიათებას (არ მოიცავს მხოლოდ თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებს). კერძოდ: გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მიწის, წყლის, ტყის რესურსები, წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები, დასახლებები, დემოგრაფია, შრომითი რესურსები და დასაქმება, განათლების დაწესებულებები, კულტურის დაწესებულებები, სპორტის დაწესებულებები, რეკრეაციის სხვა დაწესებულებები, კულტურული მემკვიდრეობა, სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა, სოციალური მდგომარეობა, ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა, ეკონომიკა, ტურიზმი, ხელისუფლება.

- *ეტაპი III - სოციო-ეკონომიკური განვითარების გარემოს ანალიზი* - მერია უზრუნველყოფსს SWOT ანალიზის ჩატარებას შემდეგი ძირითადი სფეროების მიხედვით: (ა) ინფრასტრუქტურა (გზები, კომუნალური მეურნეობა); (ბ) მეწარმეობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი; (გ) ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა;(დ) განათლება, კულტურა, სპორტი.
- *ეტაპი IV - მუნიციპალიტეტის ხედვისა და მისიის ჩამოყალიბება* - თვითმმართველი ერთეული შეიმუშავებს მისიას და გრძელვადიან ხედვას, რომელიც მიიღწევა კანონმდებლობით, დებულებით, სტრატეგიული გეგმითა თუ ხელშეკრულებებით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებით, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.
- *ეტაპი V - ძირითადი პრიორიტეტების ჩამოყალიბება/განახლება* - საშუალოვადიანი პრიორიტეტების ჩამოყალიბება და საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების გამოკვეთა ხდება 4-წლიანი პერიოდისთვის. სასურველია ხედვის, მისიის და პრიორიტეტების მნიშვნელოვანი განახლება ხდებოდეს 4 წლის პერიოდში და უკავშირდებოდეს თვითმართველობის საარჩევნო ციკლს.
- *ეტაპი VI - პრიორიტეტების განხორციელების გეგმის შედგენა* - გამგეობის/მერიის სამსახურები უზრუნველყოფენ შესაბამისი კონკრეტული განხორციელების გეგმის შედგენას, რომელიც ყოველწლიურად განახლდება. თითოეულ საშუალოვადიან პრიორიტეტს, როგორც წესი, რამდენიმე კონკრეტული მოსალოდნელი შედეგი ახლავს თან. განხორციელების გეგმის შემუშავება შემდეგი ფორმატის მიხედვით ხდება: საშუალოვადიანი პრიორიტეტი > დასაბუთება > საშუალოვადიანი შედეგი> განხორცილების გეგმა (ძირითადი საქმიანობები)
- *VII ეტაპი - საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მომზადება* -თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს საფინანსო სამსახური ადგენს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელშიც აისახება: თვითმმართველობის საპასპორტო მონაცემები; SWOT ანალიზი და მისი შედეგები; თვითმმართველობის ხედვა, მისია და საშუალოვადიანი პრიორიტეტები; განხორციელების გეგმა და ფინანსური ნაწილი:
- *ეტაპი VIII - დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადება* - საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მზადდება ოქტომბრისთვის, ზუსტდება პრიორიტეტების განხორციელების გეგმა (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული რესურსების გათვალისწინებით). მერიის სამსახურები შეიმუშავებენ, მათ კომპეტენციაში შემავალი სფეროების მიხედვით: ა) პროექტის დასახელება; ბ) პრიორიტეტი და მისი

საშუალოვადიანი შედეგი; გ) მიზნობრივი ჯგუფები; დ) პროექტის აღწერა; ე) მოსალოდნელი სარგებელი; ვ) კავშირი სხვა პროექტებთან.

პროექტები ფასდება შემდეგი შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით (პრიორიტეტებთან შესაბამისობა; სხვა პროექტებთან კავშირი; ბენეფიციართა რაოდენობა; ფინანსური მასშტაბი და სხვ.) და საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის პროექტი, ბიუჯეტის პროექტთან ერთად, 15 ნოემბრისთვის წარდეგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

<u>3. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენაში მოსახლეობის, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების თანამონაწილეობა და ჩართულობის უზრუნველყოფა</u>

მუნიციპალიტეტი მოქალაქეთა ჩართულობას საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფს საინფორმაციო არხების (საჯარო შეხვედრები, გამოკითხვები/კვლევები, მრჩეველთა საბჭოები) და უკუკავშირის (გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება) მეშვეობით.

ამ ღონისძიებებს წინ უნდა უძღოდეს საინფორმაციო კამპანია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელების გვერდის, ადგილობრივი ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის, საინფორმაციო დაფების გამოყენებისა და საინფორმაციო ბიულეტენების გავრცელების მეშვეობით. უკუკავშირის მისაღებად რეკომენდირებულია მოქალაქეთა გამოკითხვის გამოყენება.

აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მიერ 2016 წელს შემუშავებული ყველა დოკუმენტის სტრუქტურა თითქმის ერთნაირია:

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები

2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

2.1 ბიზნესსექტორი

2.2 სოფლის მეურნეობა

2.3 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო

3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

4.1 ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა

4.2. სოციალური მომსახურეობა

5. განათლება, კულტურა და სპორტი

5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა

5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები

6. გარემოს დაცვა

7. ხელისუფლება

8. SWOT ანალიზი

9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

10. მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი პრიორიტეტები

თითოეული მუნიციპალიტეტისათვის შემუშავებულია ორიგინალური ხედვა და მისია, ასევე ინდივიდუალურად, მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად არის განსაზღვრული პრიორიტეტები. სამწუხაროდ, ამ დოკუმენტებს უკვე აღარ აქვთ უშუალო ბმა ბიუჯეტთან, რამდენადაც არ შეიცავენ საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით განსაზღვრული ინფორმაციის იმ მინიმუმს, რომელსაც უნდა შეიცავდეს პრიორიტეტების დოკუმენტი.

შეფასება ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების მიხედვით

დოკუმენტების სტრუქტურა და 2017 წლის მიღების პროცესი ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

დოკუმენტების სტრუქტურა

რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი ძირითადად მომზადებულია იმ შაბლონის მიხედვით, რომელიც გამოიყენებოდა 2016 წლამდე და, კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მინიმუმს შეიცავს: 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს, 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მაჩვენებლებს, 2018-2021 წლების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, პროგრამების, მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების მოკლე მიმოხილვას. პრიორიტეტების დოკუმენტს არ აქვს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სახე, რომელიც მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა 2016 წელს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის "ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტში" (2016)მოცემულია მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი ხედვა და საშუალოვადიანი მისია.

რუსთავის განვითარების საშუალოვადიანი ხედვა წარმოადგენს მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად.

ხედვა: ქვეყნის მასშტაბით რუსთავი წარმოადგენს ინდუსტრიულ და ლოჯისტიკურ ცენტრს. ინვესტორებისათვის მიმზიდველი და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ბიზნესის კეთებისა და განვითარების შესაძლებლობებს. რუსთავი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტია, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობებს. შექმნილია პირობები მოსახლეობისათვის საცხოვრებლად, განათლების მისაღებად და დასვენებისთვის.

რუსთავის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისიის თანახმად, კონკრეტდება სამოქმედო პრიორიტეტები მომდევნო რამდენიმე წლისათვის. მასში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.[10]

მუნიციპალიტეტის მისიაა უზრუნველყოს ქალაქ რუსთავის ჩამოყალიბება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქალაქად, რის მისაღწევადაც, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას, რასაც უზრუნველყოფს ქალაქის განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის ყველა ფენისთვის უზრუნველყოს თანაბარი განვითარების შესაძლებლობები;
- განახორციელოს სკოლამდელი ასაკის მაღალი ხარისხის განათლებისა და სერვისების მიწოდება;
- სხვადასხვა პროგრამებით უზრუნველყოს ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების სერვისების მიწოდება;
- გააუმჯობესოს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და შესთავაზოს მოქალაქეებს მათზე მორგებული სოციალური პაკეტები;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად, განახორციელოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, შენობა-ნაგებობების, სკვერებისა და დასვენების პარკების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა.

მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან და რეგიონის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნეს სექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

---

[10]წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არსებული "ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი" (2016 წელი)

საშუალოვადიანი პრიორიტეტები/ქვეპრიორიტეტები (მათი შესაბამისი შედეგების მითითებით) დაგეგმილია 4 წლიანი ვადით, შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად:

1. საბაზო ინფრასტრუქტურის განვითარება,რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
2. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობა
3. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა
4. ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
5. კულტურა და სპორტი
6. განათლება
7. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

დოკუმენტების მომზადების პროცესი

ქალაქ რუსთავის მერიის ცნობით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავება დაიწყო 2017 წლის ნოემბერში. მერია არ იტყობინება, გამოიცა თუ არა მერის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი, ქალაქის მერმა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარადგინა კანონით დადგენილ ვადებში, 2017 წლის 15 ნოემბერს, რომელიც ასევე კანონით დადგენილ 5 დღის ვადაში, საჯარო განხილვისთვის, 2017 წლის 17 ნოემბერს გამოქვეყნდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://www.rustavi.gov.ge/news/745

ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების განხილვაში ჩართული იყვნენ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულები და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები.



მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით 2017 წლის 11 დეკემბერს ჩატარდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა ბიუჯეტის პრიორიტეტებთან და პროექტებთან დაკავშირებით, რომელზეც, სფეროების მიხედვით, შემუშავდა დეტალური რეკომენდაციები და წარედგინა მერს. საბჭოს სხდომის ოქმი და რეკომენდაციები გამოქვეყნებულია ვებ-საიტზე http://rustavi.gov.ge/file_manager/45/10565522576a3bd1b2f985449d6abe8b.pdf.

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვა მოხდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2017 წლის 18 და 19 დეკემბერს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის #3 დასკვნაში (N 10897-02 19/12/2017) არაფერია ნათქვამი პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყო საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმის და დასკვნის გამოქვეყნება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას-ადმინისტრაციული შენობის 1-2 სართულზე განთავსებულ სტენდებზე, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზეhttp://www.rustavi.gov.ge/news/808.

უშუალოდ "პრიორიტეტების დოკუმენტის" შემუშავებისა და განხილვის პოცედურებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ლიდერია საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის და ასრულებს კანონით დაწესებულ მოთხოვნებს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

დოკუმენტების სტრუქტურა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი ძირითადად მომზადებულია იმ შაბლონის მიხედვით, რომელიც გამოიყენებოდა 2016 წლამდე და, კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მინიმუმს შეიცავს: პრიორიტეტების ჩამონათვალს, 2016-2021 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითად მონაცემებს, 2016-2017 წლების შესრულების მოკლე მიმოხილვას, 2018-2021 წლების მუნიციპალიტეტის პროგრამების, მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების მოკლე მიმოხილვას. პრიორიტეტების დოკუმენტს არ აქვს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სახე, რომელიც მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა 2016 წელს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის "ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის" (2016) თანახმად მუნიციპალიტეტს გააჩნია განვითარების გრძელვადიანი ხედვა და საშუალოვადიანი მისია.

მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ხედვით, ბოლნისის მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად ყველაზე სწრაფად მზარდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, სადაც უზრუნველყოფილია არსებული ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წიაღისეულის, მიწისა და წყლის რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენება. გრძელვადიან ხედვაში

მოცემულია მუნიციპალიტეტის რესურსული პოტენციალის საფუძველზე მისი განვითარების პერსპექტიული მიმართულებების არგუმენტაცია.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისიაა, ხელი შეუწყოს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტის მდგრად სოციო-ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებას, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების გარემოს შექმნას, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებასა და მოსახლეობის უზრუნველყოფას ეფექტური სოციალური მომსახურებით, ასევე, მომავალი თაობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას.

მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ოგრანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნეს სექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების რეალიზება ივარაუდება 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

1. ინფრასტრუქტურა
   1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა
   1.2. წყლის სისტემის რეაბილიტაცია
2. ეკონომიკა
   2.1. ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების გაძლიერება
   2.2. ინვესტორთა დაინტერესების ზრდა ქალაქის მიმართ
3. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა
   3.მოსახლეობის ჯანმრთელობის და დაუცველი ფენების სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება
4. განათლება, კულტურა, სპორტი
   4.1.მუნიციპალიტეტში სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების გაუმჯობესება
   4.2. მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა
5. გარემოს დაცვა და ბუნებრივი საფრთხეები

დოკუმენტების მომზადების პროცესი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცნობით, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოში წარადგინა კანონით დადგენილ ვადებში, რომელიც საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-საიტზე http://www.bolnisi.gov.ge. მონიტორინგის მომენტისათვის (06/07/2018) აღნიშნულ საიტზე ბიუჯეტის ველში გამოქვეყნებული იყო მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი. პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის საიტზე 2017 წლის 15 ნოემბერს (http://bolnisi.gov.ge/siaxleebi1/736-bolnisis-municipalitetis-2018-tslis-prioritetebis-dokumenti.html).



ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს აპარატს პრესაში (გაზეთში) უნდა გამოექვეყნებინა. აპარატის ცნობით, ვებ-გვერდის გარდა (http://bolnisi.gov.ge/siaxleebi1/736-bolnisis-municipalitetis-2018-tslis-prioritetebis-dokumenti.html), ბიუჯეტის პროექტი საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე სტენდზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცნობით, საკრებულოს სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა და დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი, იყო დაინტერესებულ პირთა თავისუფალი დასწრების შესაძლებლობა, თუმცა საკრებულოს აპარატის მიერ მოწოდებული 2017 წლის 15 ნოემბრის, 24 ნოემბრისა და 25 დეკემბრის რიგგარეშე სხდომების ოქმების მიხედვით, განხილვას მხოლოდ საკრებულოს წევრები და მერიის პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ, საზოგადოების მონაწილეობა არ არის დაფიქსირებული.

საკრებულოს სხდომის ოქმებიდან არ ირკვევა, მოხდა თუ არა პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება, როგორც ეს გათვალისწინებულია საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

დოკუმენტების სტრუქტურა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ცნობით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების პრიორიტეტების დოკუმენტი შედგა გამგეობის სამსახურებთან და საქვეუწყებო დაწესებულებებთან კომუნიკაციის შედეგად. პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის პროცესში მოხდა ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციასთან, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ზეპირი კონსულტაცია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის "ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი" (2016) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების ხედვას, მისიას და პრიორიტეტებს.

ხედვა: გარდაბნის მუნიციპალიტეტი არის აღმოსავლეთ საქართველოს, ქვემო ქართლის ერთ-ერთი გამორჩეული, მოსახლეობის მზარდი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული, მრავალეროვანი, ტრადიციებითა და კულტურით გამორჩეული მუნიციპალიტეტი, სადაც განვითარებულია აგროსექტორი, ენერგეტიკა, მრეწველობა და უზრუნველყოფილია ბუნებრივი რესურსების გამოყენება მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

საშუალოვადიანი მისია: მოქალაქეთა განათლება, კონსოლიდირება და მობილიზება ნატურალური აგროწარმოებისა და მეწარმეობის თანამედროვე სისტემების ხელშესაწყობად. მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარება, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, მოსახლეობის დასაქმება, ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებისათვის პოზიტიური გარემოს შექმნა, აგრომეწარმეობისა და

გადამამუშავებელი მრეწველობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება უზრუნველყოფს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მოსახლეობის სპორტულ -კულტურული დონის ამაღლებას, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებთან, კერძო და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობითა და საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვითა და განხორციელებით.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებსა და ქვეპრიორიტეტებს წარმოადგენს:

1. ინფრასტრუქტურა
    1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
    1.2. წყალმომარაგება
2. ეკონომიკა
    2.1. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა
3. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა
    3.1. მოსახლეობის ჯანმრთელობის და დაუცველი ფენების სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება
4. განათლება, კულტურა, სპორტი
    4.1. მუნიციპალიტეტში სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების გაუმჯობესება
    4.2. მუნიციპალიტეტში კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა
5. გარემოს დაცვა

დოკუმენტების მომზადების პროცესი

2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი არ გამოქვეყნებულა მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე. თუმცა"საკანონმდებლო მაცნეს" ვებ გვერდზე გამოქვეყნდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N76 დადგენილება "გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/3948236, დადგენილების ტექსტურ ნაწილს დანართი (თავად ბიუჯეტი) არ ახლავს. მისი ნახვა შესაძლებელია აქვე გამოქვეყნებულ საბიუჯეტო ცვლილებებში.



ამავე დროს:

- 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2017 წელს შესაბამისი ბრძანება არ ყოფილა გამოცემული;
- მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე არც 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი და არც გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შედგენილი 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი არ არის გამოქვეყნებული.
- მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე გამოქვეყნებული საკრებულოს სხდომების ბოლო ოქმებიდან არც ერთის დღის წესრიგში არ ჩანს 2018 წლის ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის საკითხები.
- მუნიციპალიტეტი ვერ იძლევა ინფორმაციას, მოხდა თუ არა საკრებულოს მიერ 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება, როგორც ეს საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ წელს ზოგიერთი ხარვეზი გამოსწორდა:

- 2018 წლის 1 მარტს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოიცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება N494 (01/03/2018) "გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების" შესახებ (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3948236);
- გარდა ამისა, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ "საქართველოს ადგილობრივი თითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას", შორის დაიდო

ხელშეკრულება N95 (04/05/2018), რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ "საქართველოს ადგილობრივი თითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციამ" მუნიციპალიტეტს უნდა გაუწიოს დახმარება ბიუჯეტის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით, მოამზადოს კითხვარი მოსახლეობის გამოსაკითხად, გამოკითხოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის 950 მცხოვრები და გამოკითხული ინფორმაცია დაამუშაოს ელექტრონულ ბაზაში, რის შემდგომაც მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს შედეგების ანალიზი და შეადგინოს მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების ბიუჯეტების პრიორიტეტების დოკუმენტი, რაც დამტკიცებულ იქნება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

დმანისის მუნიციპალიტეტი

დოკუმენტების სტრუქტურა

დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი ძირითადად მომზადებულია იმ შაბლონის მიხედვით, რომელიც გამოიყენებოდა 2016 წლამდე და, კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მინიმუმს შეიცავს, ძირითადად, 2016-2017 წლების მოკლე მიმოხილვას, დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, პროგრამების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების მოკლე ჩამონათვალს. პრიორიტეტების დოკუმენტს არ აქვს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სახე, რომელიც მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა 2016 წელს.

დმანისის მუნიციპალიტეტი "ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტში" (2016) წარმოადგენს თავის ხედვასა და მისიას:

- ხედვის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტი არის ცხოვრებისათვის და დასვენებისათვის მიმზიდველი რეგიონი თავისი ღირსშესანიშნაობებით და, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია დიდი პოტენციალი , განავითაროს აგრო სექტორი, ასევე, ტურიზმი და მრეწველობა. საამისოდ საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კეთილმოწყობა და ახალი ბაღების მშენებლობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება.
- მისია: მოსახლეობის მაღალი ხარისხის სერვისებით უზრუნველყოფა, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და მოქალაქეთა დასაქმების შესაძლებლობების შექმნა.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებსა და ქვეპრიორიტეტებს წარმოადგენს:

1. ინფრასტრუქტურა

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

1.2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების (სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სანიაღვრე) რეაბილიტაცია

2. ეკონომიკა

2.1. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

2.2. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

2.3. ტურიზმის განვითარების ხეშეწყობა

2.4. სოფლის მეურნეობა

3. ჯანდაცვა

3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა

4. განათლება

4.1. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

4.2. კულტურისა და სპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

5. გარემოს დაცვა

დოკუმენტების მომზადების პროცესი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ პრიორიტეტების დოკუმენტი მუნიციპალიტეტმა წარუდგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური წერილით, კანონით დადგენილ ვადაში (N 07/3771 14/11/2017), ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანონით დადგენილ ვადაში განსახილველად წარედგინა დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და პრიორიტეტის დოკუმენტის პროექტები (N 07/3779 15/11/2017).



მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი და მისი შესაბამისი პრიორიტეტის დოკუმენტი გამოქვეყნებულია დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (https://docs.google.com/document/d/1Jd67OWJIzN6lQQr-LBRn_59PphRg82r2oZLCHJqFTj8/edit).

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

დოკუმენტების სტრუქტურა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი ძირითადად მომზადებულია იმ შაბლონის მიხედვით, რომელიც გამოიყენებოდა 2016 წლამდე და,

კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მინიმუმს შეიცავს, ძირითადად, 2016-2017 წლების მოკლე მიმოხილვას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, პროგრამების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების მოკლე ჩამონათვალს. პრიორიტეტების დოკუმენტს არ აქვს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სახე, რომელიც მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა 2016 წელს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის "საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის" თანახმად, მუნიციპალიტეტის მისიაა მოსახლეობის მაღალი ხარისხის სერვისებით უზრუნველყოფა, ადგილობრივი ბიზნესის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და ტურიზმის განვითარებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით ეკონომიკის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, შიდა მიგრაციული პროცესების შემცირება, ქსელური სისტემების შექმნა სხვადასხვა მიმართულებით მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისათვის.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებსა და ქვეპრიორიტეტებს წარმოადგენს:

1. ინფრასტრუქტურა
    1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა
    1.2. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია
2. ეკონომიკა
    2.1. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა
    2.2. ტურიზმის სფეროს განვითარების ხელშეწყობა
3. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა
    3.1.მოსახლეობის ჯანმრთელობის და დაუცველი ფენების სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება
4. განათლება, კულტურა, სპორტი
    4.1. მუნიციპალიტეტში სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების გაუმჯობესება
    4.2. მუნიციპალიტეტში კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა
5. გარემოს დაცვა

დოკუმენტების მომზადების პროცესი

მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე არ გამოქვეყნებულა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი (საიტზე http://tetritskaro.gov.ge/ პროაქტიულად მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხოლოდ ერთი - 2017 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმია გამოქვეყნებული).

საკრებულოს მიერ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით 2017 წლის 24 ნოემბერს ჩატარდა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების გაერთიანებულ სხდომა, სადაც კომისიების მიერ მოხდა პროექტების განხილვა. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ ჩანს, მონაწილეობდნენ თუ არა საჯარო განხილვაში საზოგადოების წარმომადგენლები.



საკრებულომ 2018 წლის მუნიციპალური ბიუჯეტი დაამტკიცა 2017 წლის 22 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე. საკრებულოს მიერ წარმოდგენილი სხდომის ოქმის ამონაწერიდან არ ჩანს, მოხდა თუ არა პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება, როგორც ეს გათვალისწინებულია საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით, ასევე, ესწრებოდნენ თუ არა საზოგადოების წარმომადგენლები.

საკრებულოს დადგენილება მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნებულია "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებ-გვერდზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/3945255.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-საიტზე ბიუჯეტის ველი ცარიელია და მასზე არც ბიუჯეტის პროექტი, არც დამტკიცებული ბიუჯეტი და არც პრიორიტეტების დოკუმენტი პროაქტიულად გამოქვეყნებული არ არის.

მარნეულის მუნიციპალიტეტი

დოკუმენტების სტრუქტურა

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი ძირითადად მომზადებულია იმ შაბლონის მიხედვით, რომელიც გამოიყენებოდა 2016 წლამდე და, კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მინიმუმს შეიცავს, ძირითადად, 2016-2017 წლების მოკლე მიმოხილვას, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, პროგრამების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების მოკლე ჩამონათვალს. პრიორიტეტების დოკუმენტს არ აქვს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სახე, რომელიც მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა 2016 წელს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის "ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი" (2016) ვრცლად აყალიბებს ხედვას, რომლის მიხედვითაც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოციალურ ეკონომიკური განვითარების პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეების და დონორების ჩართვა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.[11]

ხედვა მოიცავს 10 წლიან პერიოდს, რომლის ბოლოს (2025 წლისათვის), მუნიციპალიტეტში:

- მოქმედებს ფართო უფლებამოსილებათა და რესურსებით აღჭურვილი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც სამოქალაქო სექტორის ჩართულობით უზრუნველყოფენ მდგრად განვითარებას;
- ჩამოყალიბებულია ეკონომიკური განვითარების სტიმულირების ინსტიტუციური და საფინანსო მექანიზმები, უზრუნველყოფილია ინვესტიციების მოზიდვა და მნიშვნელოვნად გაზრდილია მოსახლეობის რეალური დასაქმების მაჩვენებლები;
- უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტყის, წყლისა და წიაღისეული რესურსების ეფექტიანი გამოყენება; მოდერნიზებულია მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობა, არსებითადაა გაზრდილი მემცენარეობის, მევენახეობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობა და განვითარებულია აგროწარმოება;

[11]წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არსებული "მარნეულის მუნიციპალიტეტის ხედვისა და პრიორიტეტების დოკუმენტი" (2016 წელი)

- მოქმედებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და კვალიფიციური კადრებით აღჭურვილი და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სისტემები;
- აღინიშნება მოსახლეობის მატება და ასაკობრივი სტრუქტურის პოზიტიური ცვლილება;
- მნიშვნელოვნად არის შემცირებული სიღარიბის მაჩვენებელი და უზრუნველყოფილია მოსახლეობის ქმედითი სოციალური დაცვა;
- შენარჩუნებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მოქმედებს გარემოს დაცვის ქმედითი სისტემა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი მისია:

მუნიციპალიტეტის მისიაა ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, განავითაროს მუნიციპალიტეტის საბაზო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობა სათანადოდ უზრუნველყოს ყველა ძირითადი საზოგადოებრივი მომსახურებით. ხელი შეუწყოს თანამონაწილეობითი მმართველობის განხორციელებას.

საშუალოვადიანი მისია ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის, აგროწარმოების, ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებას, ხელმისაწვდომ ხარისხიან განათლებას, ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის გაღრმავებას, ადამიანური რესურსების განვითარებასა და თანამონაწილეობითი მმართველობის განხორციელებას.

მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ სხვადასხვა სპექტრთან.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებსა და ქვეპრიორიტეტებს წარმოადგენს:

1. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
3. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება
4. გარემოს დაცვა

დოკუმენტების მომზადების პროცესი

2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი საკრებულოში წარდგენამდე განხილული იქნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი

საკრებულოს განსახილველად კანონით გათვალისწინებული ვადის დაცვით წარუდგინა და თან დაურთო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესაბამისი სხდომის ოქმი.

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, მისი შემოსვლიდან ხუთი დღის ვადაში საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდა მარნეულის მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე (marneuli.gov.ge).

საკრებულოს მიერ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით 2017 წლის 29 დეკემბერს ჩატარდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გაფართოებული სხდომა, სადაც კომისიების მიერ მოხდა პროექტების განხილვა. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები და მედია.

საკრებულომ 2018 წლის მუნიციპალური ბიუჯეტი დაამტკიცა 2017 წლის 29 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე. საკრებულოს მიერ წარმოდგენილი სხდომის ოქმის ამონაწერიდან არ ჩანს, მოხდა თუ არა პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება, როგორც ეს გათვალისწინებულია საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით. სხდომას ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები და მედია.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-საიტზე marneuli.gov.ge ამჟამად გამოქვეყნებულია 2015 წლის ბიუჯეტი, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი და 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი. შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტები გამოქვეყნებული არ არის.

წალკის მუნიციპალიტეტი

დოკუმენტების სტრუქტურა

წალკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი ძირითადად მომზადებულია იმ შაბლონის მიხედვით, რომელიც გამოიყენებოდა 2016 წლამდე და, კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მინიმუმს შეიცავს, ძირითადად, 2016-2017 წლების მოკლე მიმოხილვას, წალკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, პროგრამების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების მოკლე ჩამონათვალს. დოკუმენტის შესავალ ნაწილში 4 ძირითადი პრიორიტეტია გამოკვეთილი, ხოლო შემდეგ პროგრამების ჩამონათვალი მიჰყვება ეკონომიკურ კლასიფიკაციას და არ არის დაჯგუფებული პრიორიტეტების მიხედვით.

წალკის მუნიციპალიტეტის "საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის" (2016) პროექტით განსაზღვრულია რამდენადმე განსხვავებული პრიორიტეტები, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი ხედვა და საშუალოვადიანი მისია.

მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი ხედვით, საავტომობილო გზის[12] ექსპლუატაციაში შესვლა დადებითად აისახა მოსახლეობის მდგომარეობაზე, ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომია დედაქალაქთან და მეზობელ მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობა, უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო საქონლით შეუფერხებელი ვაჭრობა. საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალი[13] ხელს უწყობს ყველა დარგის განვითარებას.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესაბამისი შედეგების დადგომა ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში, შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად. ასევე, სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას და მუნიციპალიტეტში წარმოებული რესურსების ტრანსპორტირებას საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე. სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია და სატრანსპორტო კომუნიკაციების გამართულად მუშაობა ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა წალკის, როგორც მაღალმთიანი, მკაცრ კლიმატურ პირობებში მდებარე მუნიციპალიტეტის წარმატებით განვითარებისათვის.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია: წალკის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მუნიციპალიტეტის საბაზო ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობისათვის ძირითადი საზოგადოებრივი მომსახურებებით უზრუნველყოფას.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებია:

1. ინფრასტრუქტურა

---

[12]იგულისხმება ე.წ. "სამცხე-ჯავახეთის გზა"- თანამედროვე მაგისტრალი, რომელიც "ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს"ფარგლებში აშენდა და რომელმაც დედაქალაქი სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, წალკის გავლით, დაუკავშირა.

[13]იგულისხმება ბაქო-თბილისი-ყარსის საერთაშორისო რკინიგზა, რომლის მარაბდა-კარწახის მონაკვეთი წალკაზე გადის.

1.1. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება
1.2. წყალმომარაგება
2. ეკონომიკა
2.1. მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
2.2. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა
3. განათლება, კულტურა, სპორტი
3.1. სკოლამდელი აღზრდა
3.2. კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი
4. ჯანდაცვა
4.1. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა
5. გარემოს დაცვა
5.1. ნარჩენების მართვის სისტემის მოწესრიგება

დოკუმენტების მომზადების პროცესი

წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული იყო მუნიციპალიტეტის საიტზე tsalka.gov.ge.

მუნიციპალიტეტის საკრებულო იტყობინება, რომ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაზე იყო დაინტერესებულ პირთა თავისუფალი დასწრების შესაძლებლობა, თუმცა საჯარო განხილვის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი.

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის 2017 წლის 22 დეკემბრის N25 ოქმიდან ირკვევა, რომ ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვას მხოლოდ საკრებულოს წევრები და მერიის პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ, საზოგადოების მონაწილეობა სხდომაში არ არის დაფიქსირებული.

2017 წლის 22 დეკემბერს საკრებულომ N30 10 განკარგულებით დაამტკიცა წალკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი, როგორც ეს საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით არის გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე განთავსებულია 2017 და 2018 წლის ბიუჯეტები და წალკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტები, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო მათი გახსნა/გადმოწერა მონიტორინგის მომენტში (03.07.2018) ვერ მოხერხდა. შეფასებისას გამოყენებულ იქნა მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ წალკის მუნიციპალიტეტმა ზედმიწევნით დაიცვა რეგლამენტი და 2018 წლის "პრიორიტეტების დოკუმენტი" არამარტო განიხილა, არამედ განკარგულებითაც დაამტკიცა, რისი პრეცედენტიც საქართველოს მუნიციპალიტეტებში ხშირი არ არის.


წალკის მუნიციპალიტეტი
ოფიციალური ვებგვერდი
0363221141
ცხელი ხაზი
GEO
მთავარი
მუნიციპალიტეტი
საკრებულო
საჯარეებლო ინფორმაცია
წალკის შესახებ
კონტაქტი
სერვისები
საბარო ინფორმაცია
საძიებო სიტყვა...
შეკრული ბიუჯეტი
წალკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი
წალკის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი
წალკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი
წალკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი
უკან
მერი
მერის მოადგილეები
შპს-ები და აიპი-ები
საქმიანობა
ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტების საშუალოვადიანი ხედვისა და პრიორიტეტების დოკუმენტების ურთიერთშედარება

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტების შემუშავება უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო მანამდე არსებულ სიტუაციასთან შედარებით, როდესაც ბიუჯეტის თანმხლები პრიორიტეტების დოკუმენტი უმთავრესად მხოლოდ ეკონომიკური პარამეტრების ერთობლიობას წარმოადგენდა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ნაკლებად ინფორმატიული იყო. წარსულიდან გამოყოლილ სტანდარტულ "პრიორიტეტების დოკუმენტებში" არ არის მოცემული ცალკეული საბიუჯეტო პრიორიტეტების გამოკვეთის დასაბუთება და ისინი ძირითადად ეკონომიკურ კლასიფიკაციას ეყრდნობა.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტებში მოცემულია არა მხოლოდ მუნიციპალიტეტების არსებული მდგომარეობისა და რესურსული პოტენციალის აღწერა, არამედ მათზე დაყრდნობით და SWOT ანალიზის შედეგად, ლოგიკურად გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების განკარგვა.

განსხვავებით პრიორიტეტების დოკუმენტებისაგან, რომლებიც "ერთ თარგზეა მოჭრილი", საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტებში უკვე მოცემულია მუნიციპალიტეტების საშუალო ან გრძელვადიანი განვითარების ხედვა და გააზრებულია მუნიციპალიტეტის მისია. ამგვარი სტრატეგიული დოკუმენტები უკვე მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტების ფუნქციას იძენენ, მათში ასახულია თითოეული მუნიციპალიტეტის განსხვავებული სიტუაციის, საჭიროებებისა და რესურსული პოტენციალის გაანალიზებაზე დაყრდნობილი, სპეციფიკური პრიორიტეტები თითოეულისათვის. მაგალითად:

ბოლნისის მუნიციპალიტეტი "ეკონომიკის" პრიორიტეტულ მიმართულებაში, ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს პრიორიტეტებად გამოკვეთოს "2.1.მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების გაძლიერება" და "2.2.ინვესტორთა დაინტერესების ზრდა ქალაქის[14] მიმართ", მაშინ როცა რეგიონის მუნიციპალიტეტების ნაწილი მხოლოდ ზოგად მიზანს - "2.1.ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას" ისახავს.

დმანისის მუნიციპალიტეტი, არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემატიკის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების (სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სანიაღვრე) რეაბილიტაციას ცალკე (1.2.) ქვეპრიორიტეტად გამოკვეთს, ასევე, მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარების მიზნით, რესურსული პოტენციალის გათვალისწინებით და მუნიციპალური ორგანოების კომპეტენციებში არსებული რესურსებით, მისი ცალკეული დარგების ხელშეწყობას მე-2 პრიორიტეტის

[14]იგულისხმება მუნიციპალური ცენტრი - ქალაქი ბოლნისი.

შემდეგი ქვე პრიორიტეტებით: 2.2.ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა , 2.3. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და 2.4. სოფლის მეურნეობა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ითვალისწინებს რა ადგილობრივ პოტენციალს, ტურიზმის სფეროს განვითარების ხელშეწყობას ცალკე (2.2.) ქვეპრიორიტეტად გამოყოფს.

წალკის მუნიციპალიტეტი, ითვალისწინებს რა ადგილობრივი ეკონომიკის სპეციფიკას და რესურსებს, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას ცალკე (2.2.) ქვეპრიორიტეტად გამოყოფს. ასევე, პრიორიტეტში "5.გარემოს დაცვა" აკონკრეტებს, რომ პრიორიტეტულად მიაჩნია ნარჩენების მართვის სისტემის მოწესრიგება.

ამდენად, საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტები, მიუხედავად ცალკეული სტილისტური ხარვეზებისა, წარმოადგენს იმის მყარ საფუძველს, რომ მუნიციპალურმა ორგანოებმა მკაფიოდ და გასაგებად აუხსნან მოსახლეობას ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ძირითადი მიმართულებები და მათი მოსალოდნელი შედეგები, აქტიურად ჩართონ მოქალაქეები საბიუჯეტო პროცესში.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტებში, აგრეთვე,"ღონისძიებებად" მოცემულია იმ პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალი, რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ პრიორიტეტებს და, განსხვავებით პრიორიტეტების დოკუმენტებისგან, ნათლად ჩამოყალიბებულია შესაბამისი შედეგები, რომელიც მათი განხორციელებით უნდა იქნას მიღწეული. მომავალში მარტივად არის შესაძლებელი მათი კოდიფიკაცია (შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამული კოდების მითითება).

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტების, როგორც მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული ხედვის შემცველი პოლიტიკის დოკუმენტების პროექტების შექმნა წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს როგორც საბიუჯეტო პროცესის ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცევისა და მისი გამჭვირვალობის გაზრდის თვალსაზრისით, ასევე, მუნიციპალიტეტების ე.წ. "ბრენდინგის" საფუძველსაც იძლევა.

მიმდინარე ეტაპზე დასაკონკრეტებელი და გადასაწყვეტია, როგორ უფრო უპრიანი იქნება "საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის" პროექტის განხილვა და მიღება მუნიციპალიტეტის საკრებულოში - ცალკე სტრატეგიული დოკუმენტის სახით, თუ პრიორიტეტების დოკუმენტთან მისი გაერთიანებით? ამ საკითხზე მოსაზრება და რეკომენდაცია ანგარიშის დასკვნით ნაწილშია მოცემული.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საწყისი (2014-15) ხედვით, მუნიციპალიტეტების სტრატეგიული ხედვების დოკუმენტებს უშუალო ბმა უნდა ჰქონოდათ როგორც ყოველწლიურად ადგილობრივი ბიუჯეტის შექმნის პროცესთან, ასევე, საკუთარი ადგილი უნდა ჰქონოდათ ქვეყნის სოციალურ -ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე განმსაზღვრელი დოკუმენტების იერარქიაში:

პრიორიტეტების დოკუმენტი განვრცობილი ფორმით, რომელიც სტრატეგიული დაგეგმვის ელემენტებს შეიცავს, "მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის" სახელით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით 2015 წელს საპილოტე მუნიციპალიტეტისათვის მომზადდა. ამ ტიპის, გაუმჯობესებული პრიორიტეტების დოკუმენტების უპირატესობა პრაქტიკაში არსებულ პრიორიტეტების დოკუმენტთან უნდა ყოფილიყო ის, რომ, მათში მოხდებოდა მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო პრიორიტეტების შერჩევის დასაბუთება, საშუალოვადიანი ხედვის აღწერა, რაც მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკას მოსახლეობისათვის აღქმადს და გასაგებს გახდიდა, განსხვავებით მხოლოდ ციფრებით დატვირთული "მშრალი" დოკუმენტისაგან. ამასთან, პრიორიტეტების დოკუმენტების სახით ასეთი დოკუმენტების დანერგვისას გამოყენებული იქნებოდა არსებული საკანონმდებლო ბაზა, საქართველოს საბიუჯეტო

კოდექსის 76-ე მუხლის სახით. მართალია, ასეთი **დოკუმენტების გამოყენება პრიორიტეტების დოკუმენტების სახით არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, მაგრამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში თავად მუნიციპალიტეტებს დოკუმენტაციის მომზადების პროცესი გაუადვილდებოდათ**.

2016 წელს ქვეყნის 41 მუნიციპალიტეტისთვის, მ.შ. ქვემო ქართლის ყველა მუნიციპალიტეტისათვის, მომზადდა "საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტები". როგორც მონიტორინგმა აჩვენა, "საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტებს", სამწუხაროდ, ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში არ იყენებენ: ისინი არ განხილულა მოსახლეობასთან ერთად, მათზე საკრებულოებს არ უმსჯელიათ.

რაც შეეხება საშუალოვადიანი დოკუმენტების მეთოდოლოგიისა და მუნიციპალიტეტთა მიერ "პრიორიტეტების დოკუმენტების" მიღების პროცესის ურთიერთშედარებას, ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და მათი ოფიციალური ვებ-საიტების დათვალიერებით ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ:

- მუნიციპალიტეტების მერებმა რიგ შემთხვევებში არ გამოსცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები (ბრძანებები) 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების დაწყების თაობაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით.
- რიგ შემთხვევებში მუნიციპალიტეტებმა ვერ წარმოადგინეს პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე შესაბამის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციის დამადასტურებელი მასალები და აღნიშნეს, რომ მხოლოდ ზეპირი კონსულტაციები გაიმართა.
- პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობის დონე ძალზე დაბალია და მხოლოდ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის განსახილველად ბიუჯეტის პროექტთან ერთად მისი წარდგენით შემოიფარგლება.
- ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტების განხილვის პროცესი საკრებულოების კომისიებისა და საკრებულოს სხდომებზე პრაქტიკულად საზოგადოების ჩართულობის გარეშე მიმდინარეობს. ამას გარკვეულწილად ხელს უშლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომებზე ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პრაქტიკა, რომლის დროსაც მოსახლეობის წინასწარი ინფორმირება სხდომის გამართვის თაობაზე სრულყოფილად ვერ მოხერხდება. რიგ შემთხვევებში არ ხდება ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვისათვის მუნიციპალიტეტის ვებ-საიტებზე გამოქვეყნება.
- რიგ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალიტეტების საკრებულოებს 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტები განკარგულებებით არ აქვთ დამტკიცებული, როგორც ეს მათი რეგლამენტებიდან გამომდინარეობს. პრიორიტეტების დოკუმენტის შესრულების კონტროლი და შეფასება საკრებულოების მხრიდან არ ხდება.
- რიგ მუნიციპალიტეტებში პროაქტიულად არ არის გამოქვეყნებული მუნიციპალიტეტების საიტებზე 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტები და

პრიორიტეტების დოკუმენტები. უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით მხოლოდ "საკანონმდებლო მაცნეში" ბიუჯეტის გამოქვეყნება საკმარისი არ არის და მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტების განთავსება მუნიციპალიტეტების ვებ-საიტებზე.

რეკომენდაციები

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, მუნიციპალურმა ორგანოებმა გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

1. სასურველია, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული ხედვა ცალკე დოკუმენტის სახით არ იყოს მოცემული და ის ერთიანდებოდეს პრაქტიკაში არსებულ პრიორიტეტების დოკუმენტთან. საამისოდ, საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის პროექტები უნდა შევიდეს არსებული პრიორიტეტების დოკუმენტებში და მათ შეიძლება შემდეგი სავარაუდო სტრუქტურა ჰქონდეთ, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნებსაც:
   1.ზოგადი საპასპორტო მონაცემები
   2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა
   3.მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა
   4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა
   5. განათლება, კულტურა და სპორტი
   6. გარემოს დაცვა
   7. ხელისუფლება
   8. SWOT ანალიზი
   9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია
   10. წინა 3 წლის და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულების მოკლე მიმოხილვა (მ.შ. შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებული მაჩვენებლები, გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზი და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებული პროგნოზები);
   11. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები
   12. პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამები (დასაგეგმი წლისა და მისი შემდგომი 3 წლის მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამები / ქვეპროგრამები, მათი დაფინანსების ოდენობები, მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორები).
2. მუნიციპალიტეტების მერებმა, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების თაობაზე ბრძანების გამოცემისას, დოკუმენტის პროექტზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში ჩართონ საზოგადოების

წარმომადგენლები, მ.შ. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები და სხვა დაინტერესებული პირები. ეს უზრუნველყოფს მოსახლეობის უკეთეს ინფორმირებულობას მომავალი წლის ბიუჯეტის შემუშავების საწყის სტადიებზე, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეალურ მონაწილეობას, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს ალტერნატივები და შესაძლებლობები ღიაა.

3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენამდე, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის დოკუმენტის განხილვისას, მრჩეველთა საბჭოს სხდომა ჩატარდეს ფართო საზოგადოების მონაწილეობით, რათა გაიმართოს ბიუჯეტის პრიორიტეტების საჯარო განხილვები. ეს საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს უკეთ ასახოს მოსახლეობის საჭიროებები შემდეგი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში.
4. მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების ვებ-საიტებზე ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროაქტიული გამოქვეყნება კანონით დადგენილ ვადებში. ასევე, სასურველია, მუნიციპალურმა სამსახურებმა საიტისათვის მოამზადონ თითოეული პროგრამის შინაარსის განმარტება პოპულარული ენით, რითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობის უფრო სრულყოფილი ინფორმირება მუნიციპალიტეტის მომავალი წლის გეგმებზე, ასევე, მოქალაქეთა დაინტერესება ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობის პროცესით.
5. საკრებულოს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მუნიციპალიტეტებმა პროაქტიულად გამოაქვეყნონ დამტკიცებული ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი, სასურველია, საიტის იმავე გვერდზე იყოს საბიუჯეტო პროგრამების პოპულარული ენით გაკეთებული განმარტებები.
6. ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ საშუალოვადიანი ხედვისა და პრიორიტეტების დოკუმენტების პროექტები. მიზანშეწონილია, მოხდეს მათი ყოველწლიური განახლება, პრიორიტეტების დოკუმენტი წარედგინოს საკრებულოს ისეთი ფორმით, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინფორმირებასა და დაინტერესებულ მოქალაქეებთან ერთად მსჯელობას არა მარტო შემდეგი წლის ბიუჯეტის დეტალებზე, არამედ მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიულ ხედვაზე.

დანართი - საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კითხვარი

მუნიციპალიტეტების მერიებს:

1) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლისმე-3 ნაწილის თანახმად, "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები".

გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ წინა წელს გამოცემული ბრძანება (ელექტრონული ვერსია).

2) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლისმე-2 ნაწილის თანახმად, "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით".

გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით გამგეობის/მერიის მიერ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან წინა წელს გამართული კონსულტაციების ამსახველი მასალები (წერილების ან ელ-ფოსტის მეშვეობით ოფიციალური მიმოწერის ელექტრონული ვერსიები).

3) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლისმე-5 ნაწილის თანახმად, "ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა".

გთხოვთ, მოგვაწოდოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის წარდგენის წერილების ასლები (ელექტრონული ვერსიები).

4) გთხოვთ, გვაცნობით, მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის მიერ 2018 წლის ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტების საკრებულოში წარდგენამდე ხომ არ ჩატარებულა ამ დოკუმენტების საჯარო განხილვები ან საზოგადოებასთან კონსულტაციები. თუ ჩატარდა, გთხოვთ მოგვაწოდოთ საჯარო განხილვის/კონსულტაციის შესაბამისი ოქმი ან მათ შესახებ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია (ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნების შემთხვევაში - გასკანერებული ასლი, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნების შემთხვევაში -შესაბამისი ინტერნეტ-ბმული).

5) საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 861 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი".

გთხოვთ, გვაცნობით, განიხილა თუ არა მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ 2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტები. თუ განიხილა, გთხოვთ მოგვაწოდოთ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესაბამისი სხდომის ოქმის ასლი.

6) საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[1] მუხლის მე-3 ნაწილის"ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ ან/და საჯაროდ გამოაცხადონ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

გთხოვთ, გვაცნობით, გამოქვეყნდა თუ არა მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს იმ სხდომის ოქმი, რომელზეც განხილულ იქნა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი. თუ გამოქვეყნდა, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ინტერნეტ-ბმული.

7) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლისმე-8 ნაწილის თანახმად, "ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს".

გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის გაგზავნის წერილებისა და თავად აღნიშნული დოკუმენტის ასლები (ელექტრონული ვერსიები).

8) გთხოვთ, გვაცნობით, გამოქვეყნებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი და მისი შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტი თუ გამოქვეყნებულია, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ინტერნეტ-ბმული.

მუნიციპალიტეტების საკრებულოებს:

1) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, "ბიუჯეტის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის".

გთხოვთ, გვაცნობით, გამოქვეყნდა თუ არა მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი საჯარო განხილვისათვის. თუ გამოქვეყნდა, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ინტერნეტ-ბმული.

2) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, "ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს".

გთხოვთ, გვაცნობით, ჩატარდა თუ არა საკრებულოს მიერ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვა. თუ ჩატარდა, გთხოვთ მოგვაწოდოთ საჯარო განხილვის შესაბამისი ოქმი ან მის შესახებ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია (ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნების შემთხვევაში - დასკანერებული ასლი, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნების შემთხვევაში -შესაბამისი ინტერნეტ-ბმული).

3) გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტისა და შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის ოქმები (ელექტრონული ვერსიები).